# დიმიტრი უზნაძის 140 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კვირეული

2026 წლის 21–25 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაიმართება დიმიტრი უზნაძის 140 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კვირეული.

ღონისძიებები მიეძღვნება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, დიმიტრი უზნაძის, მემკვიდრეობას, მის ფუნდამენტურ წვლილს ქართული ფსიქოლოგიური და პედაგოგიური სკოლების ჩამოყალიბებაში, უზნაძის „განწყობის თეორიის“ მნიშვნელობას ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში.

კვირეულში მონაწილეობას მიიღებენ პროფესორ-მასწავლებლები, მკვლევრები, აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლები, სტუდენტები და მოსწავლეები. პროგრამა მოიცავს სამეცნიერო მოხსენებებს, პანელურ დისკუსიებს, სტუდენტურ კონფერენციას, გამოფენასა და შემეცნებით აქტივობებს. ღონისძიებები დიმიტრი უზნაძის სამეცნიერო და პედაგოგიური მემკვიდრეობის თანამედროვე გააზრებასა და თაობებს შორის აკადემიურ დიალოგს შეუწყობს ხელს.

**სამეცნიერო კვირეული**

**21-25 დეკემბერი, 2026**

**ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ეტაპობრივად გამოქვეყნდება**